ეშერის იპოდრომზე გაიმართა საქართველოს პირველობა საცხენოსნო სპორტში.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: 10 კილომეტრზე მარულის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 197 (4191)

1970 წ. 7 ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ტელეტაიპი

## ბადრო — 62,72 მ

**სოჩი, 5 ოქტომბერი.** სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მძლეოსანთა აქ გამართული XII ტრადიციული შეჯიბრების მონაწილენი სოჭის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ.

**ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ლიახოვმა, რომელმაც ბადრო 62,72 მეტრზე ტყორცნა. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია, რომელიც ამავე სპორტსმენის მიერ მინსკში ორი კვირის წინათ დამყარებულ ძველ მიღწევას 24 სანტიმეტრით აღემატება.**

ვ. ლიახოვი ღირსეულად აგრძელებს მამამისის — გამოჩენილი საბჭოთა მტყორცნელის ს. ლიახოვის (მან სსრ კავშირში პირველმა გადალახა 50-მეტრიანი ზღვარი) და თავისი მწვრთნელის, საბჭოთა ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ო. გრიგალკას საქმეს.

II ადგილი დაიკავა ევროპის 1966 წლის ჩემპიონმა დ. ტორიტმა (გდრ) — 59,60 მ.

ქალთა შორის ამ სახეობაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ჩემპიონმა ფ. მელნიკმა (ერევანი) — 58,84 მ. II ადგილზეა ა. ივანოვა (მოსკოვი) — 56,40 მ. III ადგილზე გასულ ვ. სტოევას (ბულგარეთი) სულ ცოტა არ ეყო ეროვნულ რეკორდამდე. მან 56,02 მეტრზე ტყორცნა ბადრო და III ადგილი დაიკავა.

1957 წლის 12 ივლისს ლენინგრადელმა ი. სტეპანოვმა საბჭოთა მხტომელთაგან პირველმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 216 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. მას აქეთ ბევრმა სპორტსმენმა აჯობა სტეპანოვს, მაგრამ ეს შედეგი დღემდე ლენინგრადის რეკორდად რჩებოდა. და აი, რეკორდი-ვეტერანი ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ი. ტარმაკმა გააუმჯობესა. იგი 217 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და პირველობაც მოიგო.

II ადგილზეა ვილნიუსელი კ. შაპკა — 213 სმ. ასეთივე შედეგს მიაღწია ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმა (მოსკოვი), მაგრამ მას III ადგილი ხვდა.

## თბილისელი წყალბურთელები ჩაიძირნენ?..

ალმა-ათასა და ბაქოში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები.

ალმა-ათაში კვლავ წარუმატებლად ითამაშეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც, მართალია, მინიმალური ანგარიშით (4:5), მაგრამ მაინც წააგეს შეჯიბრების ლიდერებთან — მოსკოვის დინამოელებთან. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა იოლად სძლია მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს" — 6:2.

ბაქოში ლენინგრადის „ბალტიკამ" დაძაბული ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით (1:2) წააგო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წარმომადგენლებთან. წითელდროშოვანი კასპიას ფლოტილიისა (ბაქო) და კიევის „დინამოს" მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონებმა — მოსკოვის დინამოელებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს ჩემპიონთა მედლების კომპლექტის მეცხრედ მოსაპოვებლად. მათ ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარეს და ქულათა მაქსიმუმი (26) დააგროვეს. დინამოელთა წარმატება იმიტომაცაა სასიხარულო, რომ მალე მათ დიდ ტურნირში — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოუწევთ ასპარეზობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორები ამჯერად ერთი საფეხურით მაღლა აიწევენ.

წლევანდელ სეზონში საბჭოთა წყალბურთელები დიდი წარმატებით გამოდიან: იუნიორებმა გაიმარჯვეს ევროპის I ჩემპიონატში (როტერდამი), ჭაბუკები პირველობდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაში „მეგობრობა" (სოფია), სტუდენტებმა მსოფლიო უნივერსიადაში (ტურინი) ოქროს მედლები მოიხვეჭეს, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა ბარსელონაში დაიცვა კონტინენტის უძლიერესი გუნდის წოდება.

სტაბილურად ითამაშეს ბაქოში სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის სპორტსმენებმა, რომლებმაც, თანაქალაქელ დინამოელთა მსგავსად, აქ ყველა შეხვედრა მოიგეს.

ცუდად არ გამოსულან „მუდმივი ბრინჯაოს მედალოსნები" — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები, რომლებმაც ალმა-ათაში მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონთან — მოსკოვის „დინამოსთან" წააგეს მინიმალური ანგარიშით (2:3). როგორც ჩანს, ისინი წლეულსაც ტრადიციულ საპრიზო ადგილს მოიპოვებენ.

ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა ალმა-ათის „დინამო", რომელიც მხოლოდ მეორე წელია უმაღლეს ლიგაში გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 21 წელზე მეტი არ არის, დინამოელები კარგი თამაშით ყურადღებას იქცევენ.

სამაგიეროდ, ერთ დროს ძლიერი კოლექტივები — მოსკოვის „ტორპედო", თბილისის „დინამო" და ლენინგრადის „ბალტიკა" ძველებურად ველარ თამაშობენ: ამ გუნდებში ახლა ცოტაა ძლიერი წყალბურთელი, ნაკლებადაა ნიჭიერი ახალგაზრდობაც.

25-30 ოქტომბერს გუნდები თავს მოიყრიან მოსკოვში, სადაც გამართავენ დასკვნით ტურს. აქ გამოვლინდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი და დანარჩენი ადგილების მფლობელნი.

ვაქვეყნებთ გათამაშების ცხრილს დასკვნითი ტურის წინ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 13 | 0 | 0 | 60—29 | 26 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) | 13 | 11 | 1 | 1 | 63—35 | 23 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 13 | 8 | 3 | 2 | 67—47 | 19 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 13 | 6 | 1 | 6 | 62—60 | 13 |
| „დინამო" (კიევი) | 13 | 3 | 5 | 5 | 47—53 | 11 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 3 | 5 | 5 | 54—65 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 51—59 | 10 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 13 | 4 | 1 | 8 | 56—57 | 9 |
| წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (ბაქო) | 13 | 2 | 3 | 8 | 55—68 | 7 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) | 13 | 0 | 1 | 12 | 35—77 | 1 |

**2 ოქტომბერი საბჭოთა კომკავშირისთვის ღირსშესანიშნავი თარიღია: 50 წლის წინათ, ამ დღეს, ვ. ი. ლენინმა კომკავშირის III ყრილობაზე საბჭოთა ახალგაზრდობას ისტორიული სიტყვით მიმართა. წლეულს ჩვენმა ახალგაზრდობამ ფართოდ აღნიშნა ეს ღირსსახსოვარი თარიღი. 3 ოქტომბერს მთელს საბჭოთა კავშირში მოეწყო კომკავშირელებისა და ახალგაზრდების შაბათობა. ამ შაბათობაში მონაწილეობა მიიღეს ი. ნიკოლაძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებლის კომკავშირელებმაც. სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით სტუდენტებმა მთელი დღე იმუშავეს კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ცენტრალური საჭადრაკო-ალპინისტური კლუბის მშენებლობაზე, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თ. კაკაბაძემ, ი. გოგიამ, ნ. ჯოხაძემ, ი. ბოთერაშვილმა და სხვ.**



ს უ რ ა თ ზ ე: ი. ნიკოლაძის სახელობის სასწავლებლის კომკავშირელები კლუბის მშენებლობაზე მუშაობის დროს.

ვ. გოგაძის ფოტო.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ მოსკოვი, 6 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა ახალ ნადავლს — სსრ კავშირის თასს ან ტალინელი საერთაშორისო ოსტატი მ. რანიკუ დაეპატრონება, ან მოსკოველი ოსტატი ტ. ლემაჩკო. მხოლოდ ამ ორმა მოჭადრაკე ქალმა შეძლო თასის გათამაშებაში ყველა მატჩის მოგება. აქ გამართულ ნახევარფინალურ შეხვედრებში რანიკუმ ანგარიშით 2,5:1,5 სძლია ოდესელ პირველთანრიგოსანს ნ. გორდონს, ხოლო ლემაჩკომ — მოსკოველ საერთაშორისო ოსტატს ნ. მედიანიკოვას — 3,5:0,5. ოთხი პარტიისგან შემდგარი ფინალური ციკლი 8 ოქტომბერს დაიწყება.

### სპორტული ამბები სოციალისტური ქვეყნებიდან

## ახალი საცურაო აუზი

სოფია, 5 ოქტომბერი. ბულგარეთის დედაქალაქში მწყობრში ჩადგა დახურული 50-მეტრიანი საცურაო აუზი მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნებით.

ფართო, ნათელი შენობა მინის, ფოლადისა და ბეტონისგანაა ნაგები. აქ, ცხადია, მთელი წლის განმავლობაში იწარმოებს საწვრთნელი მეცადინეობა და შეჯიბრებებიც გაიმართება.

აუზი სოფიის ახალი სპორტული კომპლექსის ნაწილს შეადგენს.

• •

## გარდასულ ბრძოლათა ადგილებში

პოზნანი, 5 ოქტომბერი. პოლონეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღსანიშნავად გამართული ტურისტული რეიდი აქ დიდი მიტინგით დაგვირგვინდა. ქვეყნის ყველა სავოევოდოს წარმომადგენლებმა — დაახლოებით 3 ათასმა კაცმა — 32 ქვეითი, 2 საველოსიპედო, საავტომობილო და საბაიდარო მარშრუტებით შემოიარა ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბჭოთა და პოლონელი მეომრების გარდასულ ბრძოლათა ადგილები.

ლაშქრობის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ფაშისტებთან ბრძოლაში დაღუპული გმირების საფლავები.

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

## ზოგი ჭირი მარგებელია




9 ოქტომბერს ლენინგრადში სტარტს აიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ეს არის ჩვეულებრივი, საკავშირო სპორტული კალენდრით გათვალისწინებული ტურნირი და წინასწარ მასზე ყურადღებას არც გავამახვილებდით, ორი განსაკუთრებული მომენტი რომ არა.

ტურნირის დანიშნულება ყველასთვის ცნობილია. იგი, ფაქტიურად, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდების მზადყოფნის შემოწმებას გულისხმობს. საკავშირო თასის გათამაშება ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა საბჭოთა სპორტის ამ დიდი ფორუმის წინ და იმიტომაც ეთმობა მას ესოდენ დიდი ყურადღება.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ ორგანიზატორებმა ასპარეზობის დებულების შედგენისას ერთობ უცნაურ მეთოდს მიმართეს: კოლექტივები, რომლებმაც საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში 8 პირველი ადგილი დაიკავეს, სარბიელზე დაშვებული არიან მთლიანი გუნდით, ანუ 10-10 სპორტსმენით. ამათ გარდა, ტურნირში გამოვლენ პირადი ჩემპიონატის პრიზიორები და ის მოჭიდავენი, რომლებმაც თავი ისახელეს სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებში.

ობიექტურად, ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვი. მაგრამ ვინაიდან დებულებაში ერთგვარი სიახლეა შეტანილი, რაც გარკვეულ შეზღუდვებთანაცაა დაკავშირებული, იგი რესპუბლიკებისთვის გაცილებით ადრე უნდა ეცნობებინათ. ყოველ შემთხვევაში, საკავშირო ჩემპიონატისა და საუწყებო პირველობების წინ ყველას უნდა სცოდნოდა ამ სიახლის აზრი. სინამდვილეში კი დებულებას მონაწილე გუნდები საკმაოდ გვიან გაეცნენ, მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ტურნირები უკვე ჩატარებული იყო.

მერე და რა არის ამაში ასეთი საგანგაშო? მკითხველს შესაძლოა ასეთი აზრიც დაებადოს. ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე მოგახსენებთ, რომ ამ დებულებამ საკავშირო თასის გათამაშებაში ზოგიერთი გუნდის წარმომადგენლობა ხელოვნურად შეამცირა, ზოგიერთს კი ერთობ პრივილეგირებული მდგომარეობა შეუქმნა.

მივმართოთ ფაქტებს. ტურნირში საქართველოს ოფიციალურად 10 მოჭიდავის გამოყვანის უფლება აქვს, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ბოლო ჩემპიონატის მიხედვით იგი 8 უძლიერეს გუნდს შორისაა. ახალი დებულება, ამას გარდა, ჩემპიონატის კიდევ ორ პრიზიორს უთმობს ადგილს. ესენი არიან გ. ყვარელაშვილი და ა. ცხოვრებოვი — წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნები. სხვა პრიზიორები წლეულს ჩვენ არ გვყოლია, ვინაიდან ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე დაშავებული იყო და, ბუნებრივია, ოქროს მედლებისთვის ბრძოლას შეგნებულად მოერიდა. სურათი უთუოდ სხვა იქნებოდა, საკავშირო თასის დებულება იმთავითვე რომ გვცოდნოდა. მაშინ ცოტა მეტს გავიჭირვებდით, ცოტა მეტს მოვთხოვდით ჩვენს ჩემპიონებს და, დაგვერწმუნეთ, ორზე მეტ ადგილს დავიმკვიდრებდით პრიზიორთა რიგებში.

თორემ, გამოდის, რომ ჩვენი რესპუბლიკა თავისი 12 მოჭიდავით უნდა შეერკინოს რუსეთის ფედერაციის 22 სპორტსმენს. არავითარი ზომიერება და ლოგიკა! საქართველოს მოჭიდავეებმა ათივე წონით კატეგორიაში I ადგილებიც რომ დაისაკუთრონ, მაინც გვაჯობებს რუსეთის ფედერაციის გუნდი, ვინაიდან მას მეტი პრიზიორი ეყოლება და ქულებსაც მეტს დააგროვებს (I ადგილი 7 ქულას იძლევა, II და III ადგილები ერთად —9 ქულას). როგორც ხედავთ, შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ მიზანს — უძლიერესი გუნდის გამოვლენას იმთავითვე დაკარგული აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მონაწილენი აბსოლუტურად უთანაბრო მდგომარეობაში მოხვდებიან.

ეს რომ მხოლოდ ჩვენი სატკივარი იყოს, შესაძლოა თავიც შეგვეკავებინა, მაგრამ მსგავსი პრეტენზიები სხვა გუნდებსაც აქვთ და ამ წერილშიც ყურადღება ამიტომ გავამახვილეთ ამაზე.

მეტი დამაჯერებლობისთვის მოგვყავს მონაწილეთა რიცხობრივი შემადგენლობა: რსფსრ — 22 მოჭიდავე, მოსკოვი — 14, აზერბაიჯანი — 14, უკრაინა — 13, ბელორუსია — 13, საქართველო — 12, მოლდავეთი — 11, ყაზახეთი — 10. დანარჩენი კოლექტივები მხოლოდ 5-5 მონაწილით არიან წარმოდგენილი.

ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ფედერაციას ფაქტიურად კონკურენტი არ ეყოლება, ხოლო მის მთავარ მეტოქეებს — საქართველოს, უკრაინას, მოსკოვსა და ბელორუსიას შემჭიდროებული შემადგენლობით მოუწევთ ასპარეზობა. ამიტომ პირდაპირ ვაცხადებთ: სსრ კავშირის თასს რუსეთის ფედერაციის ნაკრები მოიგებს. ეს უეჭველია.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ ზემოაღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდი მეტწილად ახალგაზრდებით დააკომპლექტა. ჯერ კიდევ გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდების წინაშე ფართო პერსპექტივა გადაიშალა. მართლაც, რა არის იმაზე უკეთესი და სასარგებლო, ვიდრე ის, რომ უძლიერესებთან ორთაბრძოლებში შეამოწმო შენი უნარი. ყოველი შეჯიბრება გამოცდილების სკოლაა. ასე რომ, სსრ კავშირის თასი ჩვენი გუნდის წევრთა უმრავლესობისთვის (გუნდში არიან ვეტერანებიც: ზ. ბერიაშვილი, ა. ცხოვრებოვი და ზოგიერთი სხვა) თავისებურად მკაცრი გამოცდა იქნება. როგორც ხედავთ, ზოგი ჭირი მარგებელია.

ამას წინათ თბილისის ფალავანთა დარბაზს ვეწვიეთ, სადაც რესპუბლიკის ნაკრები იწვრთნება. აქ იყვნენ ჩვენი გუნდის მწვრთნელები, ის ხალხი, ვინც მთლიანად სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის სამზადისითაა დაკავებული. ვნახეთ და ვესაუბრეთ ქართველ ფალავანთა სახელოვან აღმზრდელებს მ. თიკანაძეს, გ. როსტიაშვილს, ი. ჩხარტიშვილს, შ. ნოზაძეს. ბუნებრივია, საუბრის თემა ისევ და ისევ მომავალი სპარტაკიადის ბატალიები იყო. გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება.

მთავარი შთაბეჭდილება, რაც ამ შეხვედრიდან დაგვრჩა, ისაა, რომ წვრთნა და სამზადისი მიდის შეუფერხებლად, პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით. ნაკრების ოცდაოთხივე კანდიდატი ძალ-ღონეს არ იშურებს საიმისოდ, რომ ძირითად გუნდში მოხვდეს, გაემგზავროს მოსკოვს და იქ რესპუბლიკა ასახელოს. ცხადია, მათ წინაშე რთული და საპატიო ამოცანაა დასახული. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ხომ I ადგილისთვის — ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლონ. ეს ტრადიციაა და ამ ტრადიციისადმი ერთგულებას განსაკუთრებით მკაცრად მოითხოვენ ჭიდაობის გულშემატკივრები, ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა.

იმ დღეს ფალავანთა კლუბში კიდევ უფრო გაგვიმტკიცდა რწმენა იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები თავს არ შეირცხვენენ და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ისტორიაში კიდევ ერთ სასახელო ფურცელს ჩაწერენ.

**ნ. გუგუშვილი.**



• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ფალავანთა კლუბი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წვრთნის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## „არდადეგები არასოდეს დგება"

ასეთი სათაურით გამოვიდა გ. გამრეკელის წიგნი ჟურნალ „დროშის" ბიბლიოთეკის (1970 წ. № 7) სერიაში. „სპორტში მართლაც რომ არასოდეს დგება არდადეგები, — ვკითხულობთ წიგნის ანოტაციაში,



— და ამ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებზე სპორტსმენებთან ერთად არიან მათი განუყრელი თანამგზავრები — ჟურნალისტები". სწორედ ასეთ ჟურნალისტთა რიცხვს მიეკუთვნება გ. გამრეკელიც.

უკვე მრავალი წელია გ. გამრეკელი ნაყოფიერად მოღვაწეობს სპორტული ჟურნალისტიკის სარბიელზე. მან კარგად იცის ჭადრაკი (იგი ოსტატობის კანდიდატია) და უცხოური ფეხბურთი. ამიტომაც გამრეკელის ყოველი წერილი საინტერესოდ იკითხება.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ გ. გამრეკელი ძველი მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტია, თბილისის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს და მალე დაიცავს დისერტაციას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

წიგნში შეტანილია ყველა ის სტატია, რაც გ. გამრეკელს სხვადასხვა დროს „დროშაში" გამოუქვეყნებია. ამ სტატიების სათაურები გვატყობინებენ ჟურნალისტის მოგზაურობის მიზეზს, მათი შინაარსი კი ახლოს გვაცნობს თანამედროვე ჭადრაკისა და ფეხბურთის დიდოსტატებს.

საინტერესო საკითხავია საუბრები მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან მ. ეივესთან და ტ. პეტროსიანთან, ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას ბრძოლების აღწერა, წერილები ფეხბურთის შესახებ: („ტიფოზი საოპერო სცენაზე", „სწორედ ის ზეზე მორეირა", „პელე, ეუსებიო, ჩარლტონი").

მისასალმებელია ჟურნალ „დროშის" თაოსნობა, რომელმაც ერთ წიგნად გამოსცა გ. გამრეკელის საინტერესო წერილები. კარგია ისიც, რომ წიგნი სპორტის ათასობით გულშემატკივარს შეხვდება (იგი გამოიცა 25 ათასი ტირაჟით და ღირს 15 კაპ.).

**თ. გიორგაძე.**

## რბენა და

„მოძრაობას შეუძლია თავისი მოქმედებით ნებისმიერი წამალი შეცვალოს, მაგრამ მსოფლიოში არსებული ყველა წამალი ერთად მოძრაობით მიღებულ სარგებლობას ვერ შეცვლის". XVIII საუკუნეში წარმოთქმული ეს სიტყვები ფრანგ ექიმს ტისოს ეკუთვნის. მათ დღესაც არ დაუკარგავთ აზრი, პირიქით — XX საუკუნის მეორე ნახევარში ახლებური, თითქმის მსოფლიო მნიშვნელობა მიიღეს.

ადამიანის ნაკლები მოძრაობა ჩვენი საუკუნის სენია. სწავლულებმა საგანგაშო ზარი ჩამოჰკრეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ავადმყოფობა ენერგიულად უტევს ადამიანის მოდგმას, მთავარი მიზეზი კი ფიზიკური დატვირთვის მკვეთრი შემცირებაა.

ჯანმრთელ კაცს საერთოდ არ უყვარს ექიმის რჩევა-დარიგების მოსმენა, ფიზკულტურითა და სპორტით მიღებულ სარგებლობაზე ლაპარაკი კი თითქმის ბანალურად იქცა. მაგრამ ჯანმრთელობა მუდმივი არ არის. მას უნდა მოვუფრთხილდეთ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ხალხს, ვინც უძილობით იტანჯება, ვისაც სიმსუქნისკენ მიდრეკილება აქვს და სხვ. საკდესის სპორტულმა რედაქციამ და კორესპონდენტებმა მოამზადეს რამდენიმე მასალა, რომელთა წაკითხვის შემდეგაც გავიგებთ, რა ადვილია მუდამ ჯანმრთელი იყო. დღეს ვაქვეყნებთ რამდენიმე მასალას.

### ყოველ დილით, მთელი წლის მანძილზე...

— რატომ დარბიხართ? — ასეთნაირად მიცემული შეკითხვა გადაჭრით უარყოფილ იქნა. „უმჯობესია გვკითხოთ, რას გავურბივართ, — თქვა პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელმა ვ. მუსლიმოვმა და იქვე დასძინა: — პირადად მე დაღლილობას გავურბივარ.

მთელი წლის მანძილზე, ყოველ დილით, ყოველგვარ ამინდში ვარჯიშობენ ფერგანის ფრუნზეს სახცხოვრებელი მასივის მკვიდრნი.

— რატომ არ დავრბოდი ადრე? — გაოცებით კითხულობს ახლა პურის ქარხნის დირექტორი მ. გაისინი. — რამდენი დრო დავკარგე!..

ექიმმა, რომელსაც მან მიმართა, როცა ზედმეტმა კილოგრამებმა და გულის ტკივილმა შეაწუხა, გაისინს ჯერ წამალი გამოუწერა, მერე კი მიასწავლა:

— ფრუნზეს მასივში წადით და ბორის ხატუნცევი იკითხეთ...

ასე გაეცნო ბევრი გამოცდილ მწვრთნელს, ხოლო შემდეგ მისი უჩვეულო გასეირნებების მუდმივი მონაწილე გახდა. ხატუნცევს მიაკითხა მშახიობმა ვ. რეშეტნიკოვმა, რომელიც გულს უჩიოდა, მიაკითხეს შოფერმა ნ. ბუსლაევმა, გაზეთის მუშაკმა ი. ტერეშჩენკომ...

მალე ვარჯიშიც დაიწყეს. უთენია გამოდიოდნენ გარეუბნის ბილიკებზე...

მწვრთნელი ყველა მათგანისთვის

## ფეხბურთი 1970

### [illegible]

გუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ოთხი მატჩი.

მოსკოვში ცსკა-მ მიიღო „ფახთაქორი". არმიელებმა დუდარენკომ და კოპეიკინმა თითო გოლი გაიტანეს მეტოქის კარში, ტაშკენტელებმა კი მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა შეძლეს (როდიონოვი). ამ სეზონში ეს მოგება არმიელებისთვის მეთექვსმეტეა.

მინსკის დინამოელებმა შინ „მშრალი" ანგარიშით (2:0) დაამარცხეს „ნევთჩი". პირველი გოლი გაიტანა ვასილიევმა, მეორე — ფოკინმა.

„ზენიტმაც" 2 „მშრალი" ბურთით გაიმარჯვა. მისი მეტოქე იყო „არარატი". თამაშის დასაწყისში ვიუნმა იმარჯვა, შესვენების შემდეგ კი ერევნელთა კარი კოხმა აიღო. აღსანიშნავია, რომ „ზენიტმა" უკანასკნელ შვიდ მატჩში 11 ქულა დააგროვა და, ეტყობა, უმაღლესი ლიგის დატოვებას არ აპირებს.

ვოროშილოვგრადში „ზარიასა" და „ჩერნომორეცის" მატჩში გოლი არ გატანილა — 0:0. ვოროშილოვგრადელებს უკანასკნელი 12 ტურის მანძილზე მარცხის სიმწარე არ განუცდიათ.

## სსრ კავშირის პირველობა

### ჩვენი კომენტარი

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით ბათუმის „დინამოსა" და იაროსლავლის „შინიკის", აგრეთვე, გორის „დილისა" და კალინინის „ვოლგის" შეხვედრათა შედეგებს. ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო" (მახაჩყალა) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „სტალი" (ვოლგოგრადი) 0:2, „დინამო" (კიროვაბადი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 0:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „სატურნი" (რიბინსკი) 5:1, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 2:1, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „მეტალურგი" (ტულა) 2:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:0, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ვოლგა" (გორკი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

II ზონა

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 35 | 19 | 12 | 4 | 48—22 | 50 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 34 | 17 | 13 | 4 | 42—14 | 47 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 35 | 18 | 10 | 7 | 46—24 | 46 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 35 | 16 | 11 | 8 | 66—32 | 43 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 36 | 13 | 14 | 9 | 38—33 | 40 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 35 | 13 | 14 | 8 | 32—31 | 40 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 35 | 13 | 13 | 9 | 34—33 | 39 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 35 | 12 | 14 | 9 | 37—39 | 38 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 35 | 14 | 9 | 12 | 45—35 | 37 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 35 | 14 | 9 | 12 | 40—40 | 37 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 35 | 10 | 16 | 9 | 33—30 | 36 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 33 | 12 | 10 | 11 | 28—28 | 34 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 32 | 11 | 8 | 13 | 34—35 | 30 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 35 | 11 | 8 | 16 | 34—35 | 30 |
| „დილა" (გორი) | 33 | 10 | 10 | 13 | 35—41 | 30 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 35 | 7 | 16 | 12 | 30—44 | 30 |
| „ვოლგა" (გორკი) | 32 | 9 | 11 | 12 | 32—33 | 29 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 35 | 7 | 14 | 14 | 30—36 | 28 |
| „დინამო" (ბათუმი) | 31 | 8 | 12 | 11 | 23—31 | 28 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 35 | 9 | 10 | 16 | 35—48 | 28 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 35 | 5 | 10 | 20 | 23—64 | 20 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 35 | 4 | 8 | 23 | 18—55 | 16 |

### II ჯგუფი

## „ბ" კლასი

### გაიმარჯვეს „კახეთმა" და „მეშახტემ"

2 ოქტომბერს გაიმართა „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე. აი, მათი შედეგები: „კახეთი" (თელავი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „გურია" (ლანჩხუთი) 3:3, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „ტორპედო" (ეისკი) 0:1, „მეტალურგი" (კრასნი სულინი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:0, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:1, „სპარტაკი" (სარანსკი) — „სულორი" (ვანი) 0:0.

# მანძილი სულ უფრო მცირდება

ერევანი, 6 ოქტომბერი. ველოსპორტის ოლიმპიურ სახეობათა შორის სპრინტის შემდეგ ყველაზე პოპულარულია ერთკილომეტრიანი დისტანცია — გიტი სვლით და გიტი ადგილიდან. პოპულარულია ეს სახეობები სსრ კავშირშიც, რაც ყველაზე ნათლად საკავშირო და მსოფლიო რეკორდების დაპირისპირებიდან ჩანს.

აი, პირველი მაგალითი: 200-მეტრიან დისტანციაზე რბოლაში, რაც ძირითადად სპრინტერთა კომპეტენციაა, სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდს (10,69) ერთი ავტორი ჰყავს. ეს რეკორდი 1967 წელს დაამყარა ჩვენმა თანამემამულემ ო. ფხაკაძემ. სხვათა შორის, ეს საბჭოთა ველოსიპედისტების ერთადერთი მსოფლიო რეკორდია.

გიტებში კი, მართალია, მსოფლიო რეკორდები იტალიელ ლ. ბორგეტისა და ფრანგ პ. ტრანტენს აქვთ განაწილებული, მაგრამ ჩვენი მაჩვენებლები არც ისე დიდად ჩამორჩება მათს შედეგებს. გუშინ მანძილი ამ მიღწევებს შორის კიდევ უფრო შემცირდა.

1000 მეტრზე გიტში (სვლით) საკავშირო რეკორდი ტულელ ა. აგაპოვს ეკუთვნოდა — 1.03,8. აი, სწორედ ამ სარეკორდო შედეგზე მიიტანა იერიში საკმაოდ ცნობილმა მოსკოველმა სპრინტერმა ა. პოლეტაევმა. როცა მან რბოლა დაამთავრა, სამ საკონტროლო წამზომზე აღნიშნული იყო ერთნაირი დრო — 1.02,59. ახლა საკავშირო რეკორდსა და ბორგეტის მსოფლიო მიღწევას (1.01,14) შორის განსხვავება მხოლოდ 1,45 წამია.

ქალთა შეჯიბრება 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში მოიგო ხარკოველმა რ. ობოდოვსკაიამ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან დღეს მსოფლიო ჩემპიონის საკადრისი მეტოქე ჩვენს ველოსპორტს არა ჰყავს. სამაგიეროდ, დიდი ინტერესი გამოიწვია II ადგილისთვის ბრძოლამ. აქ ძალები თანაბარი იყო და მეტოქეობაც უფრო მწვავე გამოდგა. ეს ადგილი რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრმა თ. გარკუშინამ დაისაკუთრა. მოსკოველი ვ. მარკოვა მესამე იყო.

ჩვენ წინა ნომერში ვწერდით, რომ, სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, სპრინტი ხარკოველ ს. კრავცოვს უნდა მოეგო. წინასწარმეტყველება სპორტში, საერთოდ, საშიშია, მაგრამ ამჯერად იგი ზუსტი გამოდგა. კრავცოვმა ფინალში დამაჯერებლად მოუგო მოსკოველ ი. კონსტანტინოვს და კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. მესამე პრიზიორი გახდა ახალგაზრდა სომეხი სპრინტერი ს. კეპეკიანი.

# კაპიტანი — ლენინური სტიპენდიატი



რაიონული ცენტრის სტადიონზე მოსული მაყურებელი ტაშით ამხნევებდა თავის გუნდს, რომელიც ფრედ ამთავრებდა შეხვედრას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერ კოლექტივთან. თამაშის დამთავრებას წამებიღა აკლდა, როდესაც ინსტიტუტის გუნდის კაპიტანი, ცენტრალური მცველი რევაზ ვაწაძე წინ გაიჭრა, შარჯუენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავით მისწვდა და „ცხრიანში" გაგზავნა.

ბედნიერმა კაპიტანმა გუნდი მიწდვრიდან გამოიყვანა და მწვრთნელს კონსტანტინე მესხს გადაეხვია. ამ ნოგებით ინსტიტუტის გუნდმა მეტად საჭირო 2 ქულა მოიპოვა და საქართველოს პირველობის ცხრილში მეხუთედან III ადგილზე გადაინაცვლა.

მატარებლის გასვლამდე გუნდის წევრები მწვრთნელთან ერთად კინოთეატრს ეწვივნენ, კაპიტანმა კი ორი თანაგუნდელის თანხლებით სასტუმროსკენ აიღო გეზი. მაშინ, როცა გამარჯვებული გუნდი საინტერესო კინოფილმს უყურებდა, რევაზი სპორტის ფიზიოლოგიაში ამეცადინებდა მეგობრებს.

უკანასკნელ კრებაზე გუნდმა პირობა დასდო, რომ მალე კოლექტივში აკადემიური დავალიანების მქონე არც ერთი სტუდენტი აღარ იქნებოდა. და აი, თბილისში დაბრუნების მეორე დღეს ის ორი ფეხბურთელიც სახევბრწყინებული გამოვიდა საგამოცდო თთახიდან. რევაზმა პირველმა უპატაკა დეკანს, დოცენტ გ. ყირმელაშვილს:

— პირობა განაღდებულია. გუნდში არც ერთი ჩამორჩენილი არ არის!

მალე რ. ვაწაძეს მეორე დიდი სიხარული ეწვია: საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობა რევაზისთვის ლენინური სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

ვიდრე ამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა, ინსტიტუტის საბჭოს კომისიამ ლენინურ სტიპენდიაზე წარდგენის ბევრი კანდიდატი შეამოწმა, მაგრამ ამ დიდი პატივის ღირსად რევაზი ჩათვალა. ეს სავსებით მართებული გადაწყვეტილება იყო: რევაზმა III კურსამდე ყველა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. გარდა ამისა, იგი მუდამ მხარში უდგას მეგობრებს და თავისუფალ დროს მათაც ამზადებს გამოცდებისთვის. საბჭომ ისიც გაითვალისწინა, რომ რევაზი ძმასავით უყვართ თანაკურსელებსა და გუნდის წევრებს. ამიტომაცაა, რომ ზედიზედ ორი წელია მას გუნდის კაპიტნად ასახელებენ. რევაზი საზოგადოებრივი სამუშაოსთვისაც პოულობს დროს. ამას წინათ იგი ინსტიტუტის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს და ახლა ამ საქმესაც კეთილსინდისიერად უძღვება...

ერთხელ, ჩამორჩენილი სტუდენტების მშობელთა კრებაზე, ერთ-ერთმა მშობელმა რევაზს ჰკითხა:

— მამაშვილობას, გვითხარი, როგორ ახერხებ სწავლისა და სპორტის ერთმანეთთან ისე შეთავსებას, რომ ორივე საქმეში მოწინავე ხარ?

რევაზმა გაიკვირვა: რატომ მხოლოდ სწავლა და სპორტი? მე არც თეატრსა და კინოს ვიკლებ, მიყვარს საოპერო მუსიკა, ვმონაწილეობ ინსტიტუტის მომღერალთა გუნდში, ვუკრავ, ვპოულობ დროს ახალი რომანებისა და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად. ერთი სიტყვით, დროს ვუფრთხილდები და იგი არასოდეს მაკლდება.

...მე ხშირად ვესწრები ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის თამაშს. გუნდს წინ მიუძღვის 19 წლის ჭაბუკი, ლენინური სტიპენდიატი რევაზ ვაწაძე და მე მუდამ უნებურად გულში გავივლებ ხოლმე: უმრავლეს ჩვენს ერს ასეთი ახალგაზრდები!

ბ. ბაშელი.

* * *

სურათზე: რ. ვაწაძე.

## სოფლის სტადიონზე

### თელავი

რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თაოსნობით საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, რომლის დირექტორად დაინიშნა „განთიადის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნ. კაციტაძე. ამ სკოლაში ჯერჯერობით გაერთიანებულია 4 ჯგუფი, სადაც 60 ბავშვი მეცადინეობს. აქ არის აგრეთვე მეკარეების მოსამზადებელი ცალკე ჯგუფი. განზრახულია, რომ ახლო მომავალში ამ სკოლაში კიდევ 6 ჯგუფი შეიქმნას.

ა. ქოტორაშვილი.

# ჯანმრთელობა

[illegible]რბენის ცალკე რეჟიმს ადგენს — ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად. რამდენიმე თვის შემდეგ ახალბედა უკვე აღარ ჩამორჩება მთავარ ჯგუფს, მაგრამ ზოგიერება ყველაფერში საჭიროა და მწვანე მდელოებზე (ეს ყველა მარშრუტისთვის გათვალისწინებულია) მორბენლებს მცირე შესვენებაც ელით.

თუ მწვრთნელი დაკავებულია, ჯგუფს ხელმძღვანელობს მისი მეუღლე — სპორტის ოსტატი, უზბეკეთის ჩემპიონი ველორბოლაში, რბენის დიდი მოყვარული ნ. რიკოვა. კაცმა რომ თქვას, სწორედ მორბენალთა კლუბია, თუმცა ოფიციალურად მისი წოდება არსად არ არის აღიარებული.

ვ. ხატუნცევის თაოსნობას მხარი დაუჭირეს „სპარტაკის" საბჭომ და საბინაო კონტორების ხელმძღვანელებმა, რომელთა სამფლობელოებზეც მორბენალთა ტრასა გადიოდა. მაგრამ ფერგანაში, როგორც უზბეკეთის სხვა ქალაქებში, მორბენალთა კლუბები ჯერ არ ჩამოყალიბებულა. სჭირდებათ თუ არა მათ თავიანთი დებულება, ვინ დაეხმარებათ და როგორ? ამ შეკითხვებზე პასუხს ბევრი ელის.

ე. ეფიმოვი.

ფერგანა.

### ავადმყოფობა დამარცხდა

ინჟინერმა ს. მორავსკიმ მიოკარდის ინფარქტი გადაიტანა. მეგობრები გაოცდნენ, როცა სამი თვის შემდეგ იგი სპორტულ ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ მორავსკი ექიმისა და მწვრთნელის ს. რომანოვიჩის ხელმძღვანელობით სწრაფად გამოჯანმრთელდა. თავიდან მან სიარულით დაიწყო, მერე სირბილზე გადავიდა, ახლა კი თავისუფლად ფარავს 3 კილომეტრს.

მათ ყოველ დილით შეიძლება შეხვდეთ შჩერბაკოვის სახელობის პარკის ტბის ნაპირზე. სწორედ აქ მოაწყო ტრასები „სპარტაკის" სპორტის სასახლის სექციაში გაერთიანებულმა რბენის 50 ენთუზიასტმა. მათ შორის ყველაზე უმცროსი 30 წლისაა, უფროსმა კი 60 წელს გადააბიჯა. ზოგიერთი გართულებული პროგრამით ვარჯიშობს და დღეში 20-30 კილომეტრს ფარავს, სხვები კი უფრო მოკლე დისტანციებს ირჩევენ. ყველა მათგანი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რბენა უებარი წამალია.

სექციის წევრებიდან მარტო მორავსკის როდი აქვს გადატანილი სერიოზული ავადმყოფობა, მაგრამ დღეს ყველა ჯანსაღად გრძნობს თავს. მემაღაროე ა. კარადიშევი ძლივს წამოდგა ფეხზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (ნეკნი ჰქონდა გატეხილი), მაგრამ რბენაში ვარჯიშმა საბოლოოდ გააჯანსაღა. დონეცკის ერთ-ერთი ტრესტის განყოფილების უფროსს პ. კროტოვს გულის უკმარობა აწუხებდა, ახლა კი მშვენივრადაა. ბოლო წლების მანძილზე მორბენლებიდან გრიპითაც არავინ გამხდარა ავად, სურდოც არავის შეყრია.

ეს ენთუზიასტები პროპაგანდას უწევენ სირბილს, როგორც ჯანმრთელობისა და სიმხნევის წყაროს. ისინი აწყობენ ფოტოვიტრინებს, გამოდიან ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, აწყობენ სპეციალური ლიტერატურის კოლექტიურ განხილვას. ამ ზამთარს განზრახული აქვთ ჩაატარონ კროსები ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში, ქალაქის სკვერების აუზების ცივ წყალში იბანაონ.

ი. დიაჩკოვა.

დონეცკი.

# ოლიმპიური კონგრესი — 1973 წელს

ლოზანა, 5 ოქტომბერი. ოლიმპიური კონგრესი 1973 წელს გაიმართება ბულგარეთში. ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) აღმასკომის სესიამ, რომელიც აქ, სოკ-ის შტაბ-ბინაში გაიმართა.

უკანასკნელი ამგვარი ოლიმპიური ფორუმი 1930 წელს ჩატარდა. ამ ტრადიციის განახლება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს ერთად შეიკრიბონ და ოლიმპიური მოძრაობის უამრავი ამოცანა განიხილონ.

კონგრესის დღის წესრიგში შეტანილია ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი განვითარების, სოკ-ის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წინაშე მდგარი ამოცანების მკვეთრად გამიჯვნის, მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამისა და სხვა საკითხები.

სხდომაზე კვლავ იმსჯელებენ ახალი სამოყვარულო სტატუსის პროექტის შესახებ, რომელიც საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან განხილვის შემდეგ სოკ-ის სესიას გადაეცემა 1971 წელს ლუქსემბურგში.

სოკ-ის აღმასკომმა მოიწონა ის ღონისძიებანი, რასაც კომერციული რეკლამის მიზნით სპორტის გამოყენების წინააღმდეგ მიმართავს საერთაშორისო სათხილამურო სპორტის ფედერაცია.

სესიაზე მოისმინეს 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში ამ შეჯიბრებისთვის საპოროს (იაპონია) მზადების თაობაზე.



ს უ რ ა თ ზ ე: მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ბ. ბიმონი ავტობუსიდან ათვალიერებს შტუტგარტს.

## ობიექტივში მსოფლიო

ინგლისი. მოულოდნელი შეხვედრა „პირისპირ". ეს მოხდა „კემპტონ-პარკში", როცა აქ დაბრკოლებებით დოლი მოეწყო. ერთ-ერთ დაბრკოლებასთან სონდერსის ცხენი მაუნტ მარინელი გაჯირვეულდა და მხედარი უნაგირიდან გადმოაგდო.



## • KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARÚGÁS •

### ოვერატი მოხიბლულია

გფრ-ის ნაკრების სახელგანთქმულმა ნახევარმცველმა ოვერატმა განაცხადა, რომ იგი პირდაპირ მოხიბლულია თავისი საკლუბო გუნდის „კიოლნის" ახალი მწვრთნელით — ოცვირკით. ეს ავსტრიელი სპეციალისტი ახლახან ჩაუდგა სათავეში „კიოლნს".

„ოცვირკი, — თქვა ოვერატმა, — ისევე ცხოვრობს, როგორც ჩვენ, მოქმედი ფეხბურთელები. იგი მთელ დროს საწვრთნელ ბაზაში ატარებს, ათ საათზე იძინებს, თამბაქოს არ ეწევა, არ სვამს, მთელ დღეს საქმიანობს. იგი ჩვენი კლუბის მოყვარულ ფეხბურთელებსაც ისეთივე მზრუნველობით ეკიდება, როგორც ჩვენ, პროფესიონალებს".

„ჩვენი მწვრთნელი, — განაგრძო ოვერატმა, — მუდამ მონაწილეობს საწვრთნელ ორმხრივ თამაშებში და მერე როგორ მონაწილეობს! იგი 40 წლისაა, მაგრამ ბევრ ჩვენგანს შეშურდება მისი კონდიცია და მაღალი ტექნიკა. მის შესანიშნავ ტაქტიკურ აზროვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ოცვირკი საოცრად მოძრავია. ერთი სიტყვით, მას ახლაც თამამად შეუძლია თამაში".

• •

### „უჰე, ჯერ ადრეა!"

როგორც ცნობილია, 34 წლის უ. ზეელერმა წლეულს მესამედ მოიპოვა გფრ-ის უძლიერესი ფეხბურთელის წოდება, რომელიც მას მიენიჭა 1960 და 1964 წლებში. 9 სექტემბერს, უნგრეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ, ამ პოპულარულმა თავდამსხმელმა განაცხადა, რომ მეტს აღარ აპირებს ეროვნულ ნაკრებში გამოსვლას, ისე კი თავის კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინს" არ მიატოვებს.

გფრ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შიონი თვლის, რომ ზეელერი შეცდომას უშვებს, როცა დიდ ფეხბურთს ეთხოვება. შიონის აზრით, ამ მოთამაშეს ჯერ კიდევ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თავისი ნაკრებისთვის.

„უჰე, ჯერ ადრეა!" — უთხრა შიონმა ზეელერს. მწვრთნელმა მას სთხოვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში გამოვიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვოს ნაკრები.

• •

### „რატომ გამიყიდეს პარტნიორი?!"

ამ დღეებში იტალიის გაზეთებში გამოქვეყნდა გამოჩენილი ფეხბურთელის რივერას წერილი. იგი მკაცრად აკრიტიკებს საკუთარი გუნდის „მილანის" მწვრთნელ როკოს. საქმე ისაა, რომ „მილანმა" გენუის „სამპდორიას" მიყიდა ნახევარმცველი, რივერას კარგი პარტნიორი და მეგობარი ლოდეტი. „რატომ გამიყიდეს პარტნიორი?! იგი ძალიან გამოადგებოდა „მილანს", — წერს რივერა.

ლოდეტი, რომელიც იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლება, არაერთხელ გამოსულა ეროვნულ ნაკრებში და დიდი წარმატებითაც. წლევანდელი სეზონი კი მისთვის ამკარად უიღბლოა. ლოდეტი მექსიკაში გამგზავრების უდავო პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ 40-კაციან სიაში... ოცდამესამე იყო (მექსიკაში 22 მოთამაშე წაიყვანეს), ახლა კი პირველხარისხოვანი კლუბი დაატოვებინეს და პროვინციაში უკრეს თავი.

• •

### მექსიკელებზე... ნადირობენ

მექსიკის სპორტული პრესა ჩივის, რომ მალე ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრებიდან არაფერი დარჩება. პირდაპირ საკვირველია, მექსიკელები მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალედ არ გამოსულან, მის მოთამაშეებს კი ბევრ ქვეყანაში უხმობენ. რომ არაფერი ვთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც მუდამ იყო მექსიკელი სპორტსმენების ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი, ახლა დიდ აქტივობას იჩენს ბელგიაც. როგორც მექსიკის გაზეთები იუწყებიან, ამ მოკლე ხანში ბელგიის სხვადასხვა კლუბში გადავლენ პადილა, ბორია, გონზალესი, პულიდა...

• •

### ნენე დაიღუპა

ავტოკატასტროფამ შეიწირა პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ნენე. ეს ახალგაზრდა ცენტრფორვარდი დიდი წარმატებით გამოდიოდა პირველი ლიგის კლუბ „აკადემიკაში" (კოიმბრა). ნენეს გადაბირებას ცდილობდნენ „ბენფიკა" (ლისაბონი) და „რეალი" (მადრიდი).

პორტუგალიის ნაკრების ხელმძღვანელობას ნენეს დიდი იმედი ჰქონდა ევროპის მომავალ ჩემპიონატში, სადაც იგი ეუსებიოს პარტნიორი უნდა ყოფილიყო ტორესის ნაცვლად.

• •

### „რომა" ვალებში ჩავარდა

კლუბ „რომას" პრეზიდენტმა მარკინიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდის. პრეზიდენტის აზრით, ვალებისგან თავის დასაღწევად „რომას" 5 სეზონი მაინც დასჭირდება. თუ გუნდი 5 წლის მანძილზე კარგად არ ითამაშებს იტალიის ჩემპიონატში, ვალი არა თუ შემცირდება, პირიქით, გაიზრდება კიდეც.

„რომას" ვალები იმითაა გამოწვეული, რომ მან წლეულს იყიდა ესპანელი დელ სოლი, რომელიც 7 სეზონის განმავლობაში „იუვენტუსში" გამოდიოდა, და ბრაზილიელი ამარილდო. გარდა ამისა, „რომას" ახლანდელი ხელმძღვანელი ელ. ერერა იტალიაში ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელია.

## მოკლედ

● კანი. საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქში ყოველწლიურად ეწყობა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გაისად განზრახულია საიუბილეო, მეოცე ასეთი შეჯიბრების ჩატარება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, არგენტინის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრები კოლექტივები. ამას გარდა, ასპარეზობაში ჩაებმება ოთხი საკლუბო გუნდიც.

● მადრიდი. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე გამოცხადდა, რომ ამ ქვეყანაში ამჟამად 3427 კლუბი და 2812 პროფესიონალი ფეხბურთელია.

△ ბუქარესტი. უნგრეთის, იტალიის, შვეიცარიისა და რუმინეთის მძლეოსანთა გუნდების მატჩში გუნდური პირველობა უნგრელებმა მოიპოვეს. ტურნირში ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია სამი: შჩერბანმა (რუმინეთი) 215 სმ სიმაღლე დაძლია, დიონისი (იტალია) ჭოკით 530 სმ სიმაღლეს გადაევლო, ვარიუს (უნგრეთი) ბირთვი კი 19,46 მეტრზე დაეცა.

△ რომი. იტალიელი მძლეოსანი ქალები შვეიცარიისა და ავსტრიის გუნდებს მასპინძლობდნენ. მათ შვეიცარიელებიც დაამარცხეს (71:64) და ავსტრიელებიც (70:65). ავსტრიელებისა და შვეიცარიელების დუელი ფრედ (67:67) დამთავრდა. ანტენენმა (შვეიცარია) სამი გამარჯვება მოიპოვა: 100 მ 11,7 წამში გაირბინა, 100 მ თარჯებით — 13,5 წამში და 617 სმ სიგრძეზე გადახტა.

△ პრაღა. ჩეხოსლოვაკიელმა მძლეოსანმა ი. პლახიმ 880 იარდზე რბენაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 1.46,7.

△ ბერლინი. გდრ-ის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ ჰ. შიობელი აირჩიეს, მოადგილეებად — მ. ევალდო და გ. ჰაინცი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. 8-9 ოქტომბერი. თბილისის სპორტული კლუბების გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04432